№ 168

კვირა, 17 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 168

კვირა, 17 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე თავისის ძმებითურთ და დით, კნეინები სოფიო დიმიტრის ასული და ანნა მიხეილის ასული დიასამიძისანი და კნეინა ელისაბედ გრიგოლის ასული წულუკიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველნი ძვირფასის მამისას, მეორენი—მამამთილისას და მესამე – სიძისას,

**თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძისას,**

სთხოვენ უმორჩილესად მობრძანდნენ სოფ. ბრილში კვირას, 17 აგვისტოს, ნაშუადღევს 2 საათზედ, განსვენებულის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად. (1—158—1)

---

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

---

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

---

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** —დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაშეტიანცი.** 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1 1/2—[illegible] ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

---

ტფილისი, 16 აგვისტო

მწერლობაში არა ერთხელ გაისმოდა დრტვინვა და საჩივარი იმის გამო, რომ მცირე-წლოვან დამნაშავეთა დასჯის კანონები უნდა შეიცვალოსო, რადგან ამ მეცხრამეტე საუკუნემ დამნაშავეს საზოგადოდ ისე შეჰხედა, რომ იგი სნეულ, ცუდად აღზრდილ, ზნეობრივად დამახინჯებულ ადამიანად მიიჩნია, რომლის გამობრუნება, გაადამიანება კიდევ შესაძლებელია, და არა ბოროტ სულად, რომელსაც ყოველი სახება და მსგავსება უფლისა დაბადებითვე დაკარგული აქვს. ამ შეხედულებამ გამოიწვია, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა ხელოსნობის სწავლება საპატიმროებში და აგრეთვე მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის თავ-შესაფართა და ახალშენთა დაარსება.

[illegible] თათვის კანონი მაინც სასტიკი იყო დაწესებული და მოსამართლეს ძალა-უნებურად ანგარიში უნდა გაეწია ამ კანონისათვის. სულ უბრალო, მცირე დანაშაულისათვის მცირე-წლოვანი დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა, უკრავდნენ ხოლმე თავს რამდენისამე თვითა და წლით საპატიმროებში, სადაც ისინი სულითა და ხორცით იღუპებოდნენ, სრულიად, ჰკარგავდნენ ადამიანობას და ზნეობრივად იხრწნებოდნენ. აქ უკვე გზას საბოლოოდ გადამცდარ ავაზაკთა შორის ისინი სწავლობდნენ და ითვისებდნენ ყოველსავე ავკაცობასა და ურიგობას და სამუდამოდ უკუღმართდებოდნენ.

არ შეიძლებოდა ამ გარემოებისათვის თვისი ყურადღება არ მიექცია მთავრობასაც და აგერ, სულ ერთი თვე არ იქნება, რაც გამოვიდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას წეს-რიგი მცირე-წლოვან და არა სრულ-წლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულის საქმეთა წარმოებისა და აგრეთვე კანონდებულებანი იმათის დასჯისა, რომლითაც სისასტიკე სასჯელისა ასეთ დამნაშავეთათვის საკმაოდ შემცირებულია და შემსუბუქებული.

ამიერიდგან ბავშვნი 10 წლამდე სრულიად განთავისუფლებულნი არიან სასჯელისაგან, ხოლო რაც შეეხება იმათ, რომელნიც 10 წელზედ მეტისანი არიან, მაგრამ 14 წელს-კი არ გადასცილებიან, ახალი კანონი ავალებს სასამართლოს, რომ ჯეროვანად იქმნას გამორკვეული, დანაშაული „შეგნებით“ ჩაუდენიათ, თუ [illegible] 10-დგან 17 წლამდე, თუ სასამართლომ „შეუგნებელ“ დამნაშავეებად იცნო, ან მშობლებს ჩაჰბარდებათ საზრუნავად, ხასიათის გასასწორებლად, ან მცირე-წლოვანთა ახალშენში იქმნებიან დაბინავებულნი. თუ აქაც ადგილი არ აღმოჩნდა, ხოლო დანაშაული-კი ისეთია, რომ სისხლის სამართლის მიერ აღნიშნულს სასჯელს თხოულობს, მაშინ ისინი დაპატიმრებულ იქმნებიან ციხესა ანუ საპატიმროსთან გამართულს ცალკე სადგომში, ისე-კი, რომ ასეთი სასჯელი ხანგრძლივი არ იყოს და 18 წლის შესრულების შემდეგ იქ აღარ დარჩნენ. შეიძლება აგრეთვე ამ სადგომებში დაპატიმრების ნაცვლად თავ-თავისს სარწმუნოების მონასტრებში იქმნან გაგზავნილნი.

ასეთივე სასჯელი დაენიშნებათ 10-დგან 14 წლამდე, თუნდა „შეგნებითაც“ ჩაედინოთ დანაშაული, თუ ამ დანაშაულისათვის კანონს დადგენილი აქვს ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ციხეში დაპატიმრება (მუხ. 30, IV). ისეთ დანაშაულთათვისაც-კი, რომლისათვისაც სასჯელად დადგენილია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და სიკვდილი, ანუ სამუდამოდ გადასახლება, მცირე-წლოვანთ მიესჯებათ ხასიათის გამასწორებელ თავ-შესაფარსა ანუ ახალშენში გაგზავნა, ან დაპატიმრება ორიდგან ხუთ წლამდე ციხესა და საპატიმროებთან გამართულს ცალკე სადგომში; ხოლო თუ ასეთი სამყოფელ სადგომი [illegible] არსებობს, მცირე-წლოვანნი იმათი [illegible] სარწმუნოების მონასტრებში.

ის მცირე-წლოვანნი-კი, 14-დგან 17 წლამდე, რომელთაც „შეგნებით“ ჩაუდენიათ დანაშაული, არ არიან აცილებულნი ციხესა და საპატიმროს. ისინი, სიკვდილით დასჯისა, ანუ სასჯელთა დებულების

---

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ნეტა რა მანძილი არის
პირუტყვს და მეტყველს შორისა?..
ის თუ, რომ გული მგლისა გვაქვს,
თვალნი მტაცებელ ქორისა,
სიკერპე ერთის ცხოველის,
ჭამა და ძღომა ღორისა,
გული მზაკვარი, ენა-კი
ქვეყნად მომფენი ჰორისა!..

—66—

## ბაგრატ-მირზა

(ისტორიული ამბავი)

(შემდეგი *)

### VII

ჰზის მარტოდ-მარტო ბაგრატ-მირზას ასული ლელო ერთს პატარა, სპარსულს გემოვნებაზედ მორთულს ოთახში და გატაცებით ჰკითხულობს „ვეფხის-ტყაოსანსა“. ლელო კითხვის დროს იქ შეჩერდება ხოლმე, სადაც საგრძნობელსა და შესანიშნავს აზრებს წაადგება.

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.“

ეს ოქროს სიტყვები „ვეფხის-ტყაოსნისა“ ლელომ ათჯერ გაიმეორა და ბოლოს წყნარის, მწუხარების გამომეტყველი ღიმილით სთქვა:

— საწყალი ჩემი მამა?! ეგებ ბედმა ის ჰშვა ამ სოფლად იმისთვის, რომ შემდეგში მისი სახელი წყევა-კრულვით შეიმოსოს და საანდაზოდ გადიქცეს?! მისი მეფობის დრო ქართლში არის დრო ცრემლისა და სისხლისა. რად კისრულობდა მეფობას, თუ ხალხს ვერას უშველიდა?! შეურაცხყოფა უმანკო ასულთა, ტირილი ობლებისა, ქვრივების ოხვრა-კვნესა, სნეულთა უშემწეობა, უსამართლობა, ყოველივე ეს მიდის მიწიდგან ღვთაების წინაშე და თხოულობს სამართლიანს შურისგებასა. ვისგან?! ჩემის უბედურის მამისაგან, რომელმაც უარ-ჰყო თავისი სჯული, თავისი ერი, თვისი მამული, მხოლოდ იმიტომ, რომ დაედგა თავზედ სამეფო გვირგვინი, მეც ამის გამო ვარ უბედური. ჩემს სულსა და გულს დღე და ღამ მოსვენება არა აქვს; მეშინის, ვაი თუ გაჯავრებულმა ხალხმა აქაც, საბარათიანოში, მოგვძებნოს და ერთიანად ამოგვჟლიტოს! ტფილისი ხომ დავტოვეთ იმის გამო, რომ ხალხს ვძულდით, თვალის დასანახავად ვეჯავრებოდით! მართალია, აქ ჩვენს სასახლეს მტკიცე ციხე-გალავანი არტყია, დარაჯებიც გვიყენია, მაგრამ ამითი თავს ვერ ვიხსნით, უკეთუ ხალხი გამძვინვარდა... გამძვინვარებულს გრძნობას ხალხისას შეუძლიან ჰქმნას სასწაულები და თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანი შემუსროს. მამა ჩემი, შთამომავალი დიდებულის ბაგრატიონებისა, უკვდავის დავითისა და თამარისა, დღეს ქვეყნის სამასხროდ გადაქცეულა. ღმერთო! ნეტავი ეხლა ჩიტის ფრთები მომეცემოდეს; ავფრინდებოდი და შორს, შორს სადმე მაღალის მთის წვერზედ შევფრინდებოდი, იქ შევიდოდი გამოქვაბულს კლდეში, მყუდროდ ვიცხოვრებდი და ღელვა ამა სოფლისა ჩემს გულს ვერღა შეარყევდა. რად მინდა, რომ მეფის ასული ვარ?! ეს ჩემი წოდება ეგრე რიგად არა მხიბლავს... ოხ, ნეტავი ვიყო ასული მუშა გლეხისა: ის ათასწილ ჩემზედ ბედნიერია... ერთს წუთს ტკბილად მაინც მოისვენებს და მე-კი ძილი და მოსვენება არა მაქვს...რად ღირს ისეთი ცხოვრება, რომ ყოველს წამს სიკვდილს მოელი, სიკვდილს არა ბუნებრივსა, არამედ ნაძალადევსა, განზრახსა?! მამაც რომ აღარ მოდის?! ეს ერთი კვირაა, რაც გლახაკის ტანისამოსი ჩაიცვა, ხელში ბლის ჯოხი დაიჭირა, პირის სახე შეიმურა, და დადის თავისს სამეფოში, რომ შეიტყოს ნამდვილი მდგომარეობა ხალხისა; თუნდაც შეიტყოს, განა განკურნავს წყლულს ხალხისასა?! იგი ხომ ყურ-მოჭრილი ყმაა შაჰისა და იმის რწმუნებულის მოლის მაჰმადისა. ეს მოლა არის დღეს ქართლის ბატონი, მისი მეფე, მამა მარტო სახელით არის მეფე და საქმით-კი წყეული მოლა ჰმეფობს. მოლა არის თვალები და ყურები შაჰისა საქართველოში. მცირეოდენი რაიმე მოძრაობა რომ შეიტყოს, იმ წუთშივე აცნობებს შაჰსა და საკეთილოდ დაწყებულს საქმეს შეაჩერებს. ჰოი, საზიზღარო მოლავ!!.. ვატყობ, რომ ის უნამუსო დამჩაჩული ბერიკაცი რაღაც ნაირად მიცქერის!..

ასე ლაპარაკობდა თავისთვის ლელო, ცხრამეტის წლის ასული ბაგრატ მირზასი, შემკული კაცის მომჯადოებელის სიმშვენიერით. თუმცა იმისი მამა სჯულით მაჰმადიანი იყო, და საქართველოზედაც გული აცრუებული ჰქონდა, მაგრამ თვით იგი კი იყო ნამდვილი ქართველი ქალი, მოყვარული ქართულის სჯულისა და ქართულის მწერლობისა. ჯერ კიდევ ჩვიდმეტის წლისა იყო ლელო, როდესაც დაუმეგობრდა სპარსეთში კახეთის დედოფალს ქეთევანსა, რომელიც შაჰ-აბაზმა თეირანს წაიყვანა ტყვედ. ლელო მაშინ თავისს მამასთან და დედა ანნა-ხანუმთან ერთად სცხოვრობდა სპარსეთის სატახტო ქალაქში და საქართველო ჯერ არც-კი ენახა. მართალია საქართველოში იყო დაბადებული, მაგრამ აქედგან ჯერ კიდევ ბალღი სპარსეთში წაეყვანათ მშობლებს. იმისი გულითადი სურვილი იყო ენახა თავისი საყვარელი მრავალ-წამებული სამშობლო და მის წიაღში ჰლირსებიყო დამარხვას...

ბევრი რამ ესმოდა მრავალ-ტანჯულის საქართველოს შესახებ ლელოსა: სულ ცრემლი, სისხლი, ტაჯვა, ვაება,—ეს სიტყვები ეკერა ყველას პირზედ, ვინც-კი საქართველოს შესახებ ლაპარაკს ჩამოაგდებდა. უყვარდა ყოველი ქართველი, ვინც უნდა ყოფილიყო, თავისის მამის მტერიც-კი; მაგრამ ყველაზედ უფრო მან შეიყვარა ქეთევანი, კახეთის დედოფალი, რომელსაც მრავალი სატანჯველი მიაყენა შაჰმა

*) იხ. „ივერია“ № 167.

მე 18 მუხ. პირველ და მეორე ხარისხით კატორგაში გაგზავნის ნაცვლად, ციხეში იქმნებიან დაპატიმრებულნი 8-დგან 12 წლამდე, ხოლო სხვა სასჯელთა ნაცვლად, რომელიც დადგენილია იმავ მუხლის დანარჩენ ხარისხით ან შემდეგის (მე-20) მუხლით,—3-დგან 8 წლამდე. იმ დანაშაულთათვის, რომლისათვისაც დადგენილია ყოველ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და გაგზავნა საცხოვრებლად ციმბირსა ანუ სხვა შორეულს გუბერნიებში, მცირე-წლოვანნი დაპატიმრებულ იქმნებიან ციხეში, ისე-კი, რომ სრულ-წლოვანთათვის დადგენილი ვადა 2 და 3 ხარისხით შეუმცირდეთ.

არა სრულ-წლოვანთაც (17 დგან 21 წლამდე) უმცირებს სასჯელს ახალი კანონი. იმ დანაშაულთათვის, რომლისათვისაც დადგენილია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და კატორგა, იმათ ესევე სასჯელი უნდა გარდაიხადონ, ხოლო ვადა კატორგაში მუშაობისა შემცირებულია ერთის მესამედით; უვადო კატორგა—ოცის წლის ვადით, დანარჩენ დანაშაულთათვის-კი, რომლისათვისაც ახალი კანონი მცირე-წლოვანთ ციხეში დაპატიმრების ვადას უმცირებს 2 და 3 ხარისხით, ამათ ვადა დაპატიმრებისა შეუმცირდებათ მხოლოდ ერთის ხარისხით.

სასჯელი-კი, რომლის გადაწყვეტის უფლებაც მომრიგებელ-მოსამართლეთა აქვთ, დამნაშავის წლოვანებისა (10-დგან 14-მდე და 14-დგან 17 წლამდე) და დანაშაულის მეტნაკლებობის მიხედვით, ისეა შემცირებულ შეცვლილი, რომ დამნაშავე მშობელთა, მზრუნველთა და სხვა კეთილ-საიმედო კაცთ უნდა ჩაჰბარდეთ [illegible] იქმნან გაგზავნილნი. თუ მშობელნი და მზრუნველნი ჯეროვანად არ უგდებენ ყურს მათდა სამეთვალყურეოდ მიჩემებულს დამნაშავეს, სამართალში იქმნებიან მიცემულნი და დასჯილნი დაპატიმრებით ერთს თვეზედ არა უმეტეს, ანუ ფულად ჯარიმა გარდახდებათ ათ თუმნამდე.

ამ გვარად, როგორც ჰხედავთ, ახალი კანონი მცირე-წლოვანთ ციხე-საპატიმროს სრულიად აცილებს თავიდგან, ხოლო არა სრულ-წლოვანთა ციხეში ყოფნას-კი უმეტესს შემთხვევაში შესაძლებელადა ჰხდის, მხოლოდ ვადას დაპატიმრებისას უმცირებს.

ეს ახალი კანონი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო სამართლიანია უწინდელზედ, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის არა სასიამოვნო გარემოება, რომ არა სრულ-წლოვანთათვის დატოვებულია სასჯელად ციხესა და საპატიმროში დამწყვდევა, სადაც ერთს დღე-ღამეს ყოფნაც-კი იმათს ზნეობას თავისს უკუღმართს კვალს დააჩნევს და საიდგანაც ისე არავინ გამოსულა, რომ იქვე არ მიბრუნებულიყოს.

სასურველია, რომ საგანს ამ მხრივაც მიექცეს ყურადღება და არა სრულ-წლოვანთათვისაც, ისე, როგორც მცირე-წლოვანთათვის არის ახალის კანონით განწესებული, ციხე საპატიმროებთან განსაკუთრებული სამყოფელ-სადგომი იყოს დანიშნული, იქ აპატიმრებდნენ ხოლმე და არა საზოგადო სატუსაღოში, რომელშიაც თავმოყრილნი არიან სრულ-წლოვანნი დამნაშავენი, ბოროტებაში გამობრძმედებულნი, საუკუნოდ წამხდარ-გარყვნილნი და თავზედ ხელ-აღებულნი.

ფარნაოზი

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლლეჟსკი სეკრეტრობა—ბაქოს გუბერნიის, გეოქჩაის ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორს იოსე-

# ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა ყაზახის მაზრის ბოქაულის თავ. აბაშიძისა, თარჯიმანის ბეზინოვის და ჩაფრის ივდიჩის მკვლელობის საქმე გადასცა განსახილველად კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებელთან არსებულს საკვირაო სკოლაში მეცადინეობა 7 სექტემბრიდგან დაიწყება. წელს, სხვათა შორის, ქიმიასაც ასწავლიან აქ მოსიარულეთ. ქიმიისათვის უკვე დაუმტკიცებიათ მასწავლებელნი ბ-ნნი ალიბეგოვი და სუნდუკიანცი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი აცხადებს საყოველთაოდ, რომ რადგანაც სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების განკარგულებით ამა წლის სექტემბრის თვეში უნდა მოხდეს გამოსაცდელი კრება სათადარიგო ჯარის-კაცთა, ყველა ის სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ, ისინიც-კი, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო ჯერ არ წარუდგენიათ პოლიციაში დასათხოვი ბაშპორთები და ბილეთები ჩასაწერად, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ დილის 8 საათზედ ტფილისის მაზრის სამხედრო ბეგრის უფროსის გამგეობაში, ასეთის წესით: 1) მე-10 ნაწილში მცხოვრებნი—1 სექტემბერს, 2) მე-5, 8 და 9 ნაწ. მცხოვრებნი—2 სექტემბერს, 3) მე-3 4 და 7 ნაწ. მცხოვ.—3 სექტემბერს, 4) 1 ნაწ. მცხოვ.—4 სექტემბერს და 5) მე 2 და 6 ნაწ. მცხოვ.—5 სექტემბერს. ყველა მათ უნდა ჰქონდეთ თან ჯარის-კაცობიდგან დასათხოვი ბილეთი და დროებით-მცხოვრებელთ ამის გარდა ბაშპორტიც. ვისაც ასეთი ქაღალდები არ ექნება, მაინც ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულს დროს.

შეუძლიან არ გამოცხადდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სახელმწიფო სამოქალაქო და საზოგადო დაწესებულებებში რაიმე თანამდებობა უჭირავთ. აგრეთვე ის სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც მსახურებენ რკინის გზებზედ, ტელეგრაფებზედ, ზღვათა და მდინარეთა გემებზედ, საგზაო უწყებათა ნავთსადგურებზედ, პოლიციაში, ცეცხლის საქრობ რაზმებსა და ციხეებში. ამათ მაგიერ ის დაწესებულება წარმოადგენს მოწმობას, სადაც ისინი მსახურებენ.

ავადმყოფნი, რომელთაც არ შეუძლიანთ გამოცხადდნენ და აგრეთვე დაპატიმრებულნი, ვალდებულნი არიან, კრების დასაწყისამდე წარმოადგინონ ბილეთთან ერთად ავადმყოფობის მოწმობა პოლიციისაგან.

სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან ხსენებულს დღეს, არ წარადგენენ იმ დროსთვის ყველა საჭირო ქაღალდებს, თუ კანონიერ მიზეზებს არ დაასახელებენ, დასჯილ იქმნებიან სამხედრო ბეგრის წესდების მე-362 მუხლის ძალით.

*** გუშინ-წინ „ტფილისის ფურცლიდგან“ გადმობეჭდილი გვქონდა, რომ იგდირის სახაზინომმისს სახელზედ გაგზავნილი 50 ათასი მანეთი დაჰკარგაო. აი, როგორ ყოფილა ეს ამბავი: 8 აგვისტოს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ იგდირის სახაზინოს 50 ათასის მანეთის ფასიანი პაკეტი თურმე გაუგზავნა. არსებულის წესის თანახმად, პაკეტი ბანკის განყოფილების მოხელემ და მასთან ორმა ნაფიცმა მოხელემ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მიიტანეს. პაკეტს ბანკის ბეჭედი ხუთგან ჰქონდა დაკრული; მიიღო თურმე იგი ფოსტის მოხელემ ბ-ნმა არჯევანიძემ, რომელმაც მაშინვე ასწონა პაკეტი და გამოვიდა, რომ სამოცდა ორი ლოტი (ლოტი სამ მისხალს იწონს) აიწონა. რადგანაც იგდირში ფოსტა ყოველ-დღე არ მიდის, პაკეტი 10 აგვისტოს თურმე გაიგზავნა. როგორც დეპეშითაც იუწყებოდნენ, 13 აგვისტოს იგდირის სახაზინოს ხაზინადარი ფოსტის კანტორაში მივიდა და პაკეტი მოითხოვა. პაკეტი მაშინვე გადასცეს, მაგრამ ხაზინადარმა მოსთხოვა, პაკეტი იქვე გაეხსნათ. გახსნეს და ფულის მაგიერად რაღაც სქელი ქაღალდი-კი ამოიღეს. ბეჭედ-დაკრული ლაქა მთელი იყო ყველგან. ყოველივე დაუყოვნებლივ ტფილისში აცნობეს.

დამნაშავეთ გზა-კვალის ასაზნევად შემდეგი ოსტატობა თურმე იხმარეს: აიღეს და სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგეს ბათუმიდგან პაკეტი გამოუგზავნეს, რომელშიაც ხუთ ადგილას ბეჭედ-დაკრული ცალიერი პაკეტი იდვა, პაკეტს იგდირის სახაზინოს ადრესი ეწერა და წარწერილი ჰქონდა: „ფასიანი 50 ათასის მანეთისა“. პაკეტში შემდეგი ბარათი იპოვნეს: ფული ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილებიდგან იქმნა მოპარული მოხელე ბ-ნ არჯევანიძესთან დ ქურდი ახლა ბათუმიდგან ოდესას მიდისო. ამავე დროს ატყობინებენ იმ ხერხსაც, რომლითაც ქურდს ეს საქმე ჩაუდენია. ამ ვაჟბატონს ვითომ ფოსტის განყოფილების მსახურის გრიმი გაუკეთებია, ასე რომ სრულიად დაჰმზგავსებია ნამდვილს ფოსტის მსახურს და პაკეტი ისე გამოუცვლია შიგვე ფოსტაში.

რაღა საფრანგეთისა და მოსკოვის განათლებული და ნასწავლი ქურდები აჯობებენ ახლა კავკასიელებს? ვგონებთ, კიდეც გადააჭარბეს. მაგრამ ვინ იცის, ვინ იყო?

*** ივლისის სომხურს სასულიერო ჟურნალის „არარატში“ დაბეჭდილია წერილი საქართველოში სწავლა განათლების შესახებ. სხვათა შორის აღწერილია საქართველოში რუსების შემოსვლის პირველ ხანს დაარსებულ სასწავლებლის შესახებ ცნობები, მასწავლებელნი, მათი ჯამაგირი და მოსწავლეთ ამბები. პირველ სასწავლებლად თ. ციციანოვის მიერ დაარსებულს სასწავლებელს ასახელე[illegible] წ. ქ. ტფილისს.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოებას 1896 წელს გასავალი ჰქონია 267,756 მანათი, ხოლო შემოსავალი 62,249 მანათი. წლის განმავლობაში საზოგადოებას სულ 597,157 ფუთი წმინდა ქვა ნახშირი

---

იმისთვის, რომ არ უარ-ჰყო თვისი სჯული და თვისი ხალხი! ქეთევანი ლელოსთვის იდეალად შეიქმნა... იგი ჰნატრობდა მიებაძა თავის ცხოვრებაში კახეთის დიდებულის დედოფლისთვის, თუკი დრო და გარემოება ნებას მისცემდა. აი, დაჰკრა ლელოსთვის სასიხარულო ჟამმა. ერთს დღეს მისი მამა ბაგრატ-მირზა აღტაცებული მოვიდა შაჰის დარბაზიდან სახლში და ახარა ცოლს ანნახანუმს, შვილებს, სიმონსა და ლელოს, რომ ქართლის მეფედ დამნიშნესო. ლელოს მამის გამეფება ისე არ გაეხარდა, როგორც ისა, რომ საყვარელს სამშობლოში წამოვიდოდა. „მართალია ქართლში არეულობაა, მაგრამ ჩემთვის ათასწილად სჯობს იქ საპყრობილეში გავატარო ჩემი დღეები, ვიდრე სპარსეთში ოქროს სასახლეში ვსცხოვრობდე. სამშობლოში ჭირიც ადვილად მოსათმენიაო“!. ლელოს გადაკითხული ჰქონდა ქართულს ენაზედ თითქმის ყველა წიგნი, რის შოვნაც-კი შეიძლებოდა იმ დროს. სახარების გარდა, რომელსაც ხშირად ჰკითხულობდა, უფრო მეტად უყვარდა „ვეფხის ტყაოსანი“.

საქართველოში რომ მოვიდა მამასთან ერთად, დიდად გახარებული იყო, მაგრამ ლელოს, ამ გულ-ჩვილს და გულ-კეთილს არსებას, არ მოსწონდა მამის და მისის მხლებლების საქციელი. იგი სცდილობდა გაჭირვებულთათვის ნუგეშინი ეცა და ამითი ხალხის თანაგრძნობა დაემსახურებინა. ყველა დიდად აფასებდა კიდეც ლელოს, ხალხს შეუყვარდა იგი და იმისს სახელსა ჰფიცავდა.

### VIII

დაიარა ბაგრატ-მირზამ რამდენიმე სოფელი და ყველგან ესმოდა მეფის ლანძღვა, მისი კრულვა და წყევლა. მიხვდა იგი, რომ ქვეშევრდომს ერს არ უყვარდა, უყვარდა-კი არა, სძულდა, თვალის დასანახავად ეზიზღებოდა, იმისი სახელის გახსენებაც-კი ეჯავრებოდა.

— ვაი ჩემს გაჩენასა, ვაი ჩემს დაბადებასა, ვაი ჩემს სიცოცხლესა!.. ამბობდა წამოწოლილი ბაგრატ-მირზა. საცოდავი გაბრიელი როგორ იტანჯება ჩემის დაუდევრობით, მაგრამ ცუდათ მაინც არ მახსენებს, მაინც მლოცავს. მამა პეტრე, რა თავ-განწირულად ემსახურება მრევლსა? ხალხის მეფე ის არის, ვინც მისი სიყვარული და თანაგრძნობა მოიპოვა, ვისაც მისს ხსოვაში ადგილი უჭირავს. დღეს მამა პეტრეა ხალხის მეფე და არა მე, მეფეა იმიტომ რომ იმას აღმერთებს დაჩაგრული ხალხი, ის არის მისი მანუგეშებელი ამ შავ-ბნელს დროს, როცა მე შემხვდა უბედური მეფობა! მე?! მე რა მეფე ვარ?! ნაძალადევი, ხალხის სურვილის წინააღმდეგი, ხალხის გაქლეტის წყალობით გამეფებული!..

— მამილო! რასა იქ, როგორა ხარ!? კაი ხანია აღარ ისვენებ, მოწყენილიცა ხარ... ავად ხომ არა ხარ, მამილო?! ჰკითხა შემოსულმა ლელომ.

— მე, შვილო, შენი მამა აღარა ვარ, იმიტომ-რომ ჩემს ქვეშევრდომს ხალხს შენს უდანაშაულო სახელსაც ვაწყევლინებ. მე ვარ, შვილო, შენი მტერი, შენი მკვლელი! ვერ გაგიწიე რიგიანი მამობა! გული მაქვს მოკლული ჩემის სამეფოს უბედურებით...როგორც მეფე—ხალხის წინამძღოლი უნდა ვიყო ჭირსა და ლხინში... ეს კარგად მესმის, მაგრამ აზრსა და საქმეს შუა კაი მანძილია. ძალ-ღონე არ მომდევს, რომ ისე მოვიქცე, როგორც ნამდვილს მეფეს შეჰფერის. სპარსეთის ტიკინია დღეს უბედური მამა შენი და თავზედ მას ადგია, ქებული სამეფო გვირგვინის ნაცვლად, გვირგვინი სირცხვილისა, გვირგვინი ყმობისა. რასა იქო, როგორა ხარო? მეკითხები. რას უნდა ვშვრებოდე და ან როგორ უნდა ვიყო ხალხის ტანჯვის მნახველი უხასიათო მეფე?! ის-ღა დამრჩენია, შვილო, რომ ღმერთსა ვსთხოვო, მალე დამიბნელოს თვალები, რომ აღარ ვუცქეროდე სამშობლო ქვეყნის უბედურებასა, იმ სამშობლო ქვეყნისას, რომელიც მე, იწრო თავ მოყვარეობით გატაცებულმა, უგუნურად გავყიდე და ჩავაგდე გასაჭირში ისედაც გაჭირვებული! ვინ იცის, ჩემო საყვარელო შვილო, თეიმურაზი რომ დარჩენილიყო შეერთებულ ქართლ-კახეთის მეფედ, იქნება საქართველო დღეს კეთილ-დღეობაშიაც ყოფილიყო. მაგრამ მე ცილი დავწამე, დავაბეზღე შაჰთან, წინააღმდეგობას გიპირებს-მეთქი, და საქმე ჩავუშალე. დღეს ის თურმე იმერეთშია და იქ ქეიფის მეტს არას აკეთებს. მე ვარ მიზეზი ქართლ-კახეთის ეხლანდელის უბედურებისა, ჩემს თავზედ უნდა შეგროვდეს მთელი ცრემლი, სისხლი და წყევა ქართლის ერისა და მალე უნდა გამყაროს ამ სოფელსა! დეე მოვკდე, ოღონდ შენ იყავ, შვილო, ბედნიერი! დეე მამი-შენის გულ წრფელმა სინანულმა გაგინათოს ცხოვრების გზა და სიცოცხლე ბედნიერად დაგასრულებინოს; ვიცი, ვგრძნობ, რომ დიდს ხანს აღარ ვიცოცხლებ: მალე დაჰრეკს ზარი ჩემის ამ სოფლით განსვლისა. მოლა მაჰმადო! შენამც იყავ შეჩვენებული დედა მიწაზედ! ეშმაკივით მიდექი გვერდში და მიმზადებდი ჩემის ხალხისთვის საწამლავსა. წყეული იყავი, შეჩვენებული შენის ალლახისაგან!..

ლელოს თვალები მდუღარე ცრემლით აევსო და ნუგეშინის ცემა მამისა ველარ შესძლო... ჩამოსხმული სურათივით გაქვავებული იდგა და იცრემლებოდა.

ამ დროს შემოვიდა მოლა მაჰმადი და თან თვისი განუშორებელი „ყორანი“ შემოიტანა. ატყობდა ბაგრატს უქეიფობას და ამიტომ „ყორანის“ წაკითხვას მისთვის აუცილებელს საჭიროებადა სთვლიდა. დაიწყო არაბულს ენაზედ ყორანის კითხვა და თან თხასავით თავს იქნევდა ხშირად კითხვის დროს!

ამ დროს ბაგრატის მეუღლე ანნახანუმი შინ არ იყო. იგი ხშირად აქეთ იქით დადიოდა თავისის ძით სიმონითა და ამალითურთ... მაინც და მაინცა გაგიჟებით არ უყვარდა თავისი ქმარი...

ფარი

(შემდეგი იქნება)

შეუძენია. წარსულს 24 ივლისს გამგეობის ახალი წევრების არჩევანები იყო, რომელთაც უნდა განაგრძონ ამაწლის მარტში საზოგადოების შეჩერებული საქმეები. საზოგადოების აქციებმა ამ ბოლოს დროს 40 მანეთიდგან 70 მანეთამდე აიწია.

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ გორის მაზრაში ფილოქსერასთან ბრძოლის საქმის საუკეთესოდ მსვლელობისათვის საჭიროა, რაც შეიძლება მალე გადასცეთ იმ მცხოვრებლებს, რომელთა ვენახებიც შარშან 1896 წელს მოსპობილ იქმნა, მეურნეობის მინისტრის მიერ ნება დართული და ამ საქმისათვის გადადებული 1,516 მან. 97 კ.

⁂ სად. გომი, (გორის მაზრა). აქ ახლო-მახლო სოფლებში არის დაარსებული სასოფლო ამბარი ხორბლის შესაგროვებლად. რადგანაც ხორბალი ბლომად შეკრებილა, ამიტომ ამ დღეებში რამოდენიმე სასოფლო ამბარიდგან გაუყიდიათ ხორბალი სურამის პოლიციის განყოფილების ბოქაულის თავმჯდომარეობით, ფუთი 55 კაპეიკათ. ერთს ვაჭარს ასე 5 ან 6 ათას ფუთამდე უყიდნია. ყველა გაკვირვებულია ბატონ სურამის ბოქაულის ასეთის მოქმედებით, რადგანაც ამ ხორბლის გაყიდვის ამბავი გამოცხადებული არ იყო. აქ ახლად დაარსებულია გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობა, რომელიც დიდი ხალისით ჰყიდულობს ფუთ ხორბალს 65 კაპეიკათ. თუ სხვას არა, ამ ამხანაგობისთვის მაინც უნდა ეცნობებინა სურვილი ხორბლის გაყიდვისა და ფუთი 10 კაპ. ნაკლებ არ უნდა მიეცათ ჩარჩისათვის. სასურველია ისეთი წესი იქნას შემოღებული, რომ ამ ამბრებიდგან ხორბლის გასყიდვა საჯაროდ გამოუცხადებლად არა ჰხდებოდეს, თორემ ბევრი უსიამოვნო შედეგი მოსდევს ასე ცუდად წარმართულ საქმეს.

⁂ ქ. ფოთი. ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა აქ 11 აგვისტოს. დაირჩო ერთი აქაური მცხოვრებელი გახუ ფანცულაია, რომელიც ზღვის პირას მოდიოდა თურმე და თხრილში გადავარდნილიყო. წყალი თუმცა პატარა იყო, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა, რადგანაც ჩავარდნისთანავე ბნედა მოჰრეოდა.

⁂ ს. ლამისყანა. ლამისყანაში ამ წელს პურის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. საშინლად ცხელოდა. ვენახებიც ვერაფერს მდგომარეობაშია მართალია, სეტყვა იშვიათად იცის ლამისყანაში, მაგრამ ვაზის სხვა-დასხვა ავადმყოფობამ არ იქმნა თავი არ დაგვანება. წელსაც ობი და ნაცარი აქვს ყურძენს.

⁂ ქ. თელავი. სწორედ მადლობის ღირსნი არიან ბ-ნნი გამყრელიძე, აწყურელი და აქაურნი ახალგაზ. და სცენის მოყვარენი, რომელთაც ჯერ სამჯერ გამართეს წარმოდგენა და მეოთხედ 20 ამ თვისათვის დანიშნული აქვთ ახალი პიესა: „თელაველი ოტელო“. იმედია, როგორც თელავის ცხოვრების სურათი, ეს წარმოდგენა საზოგადოებას ბლომად მოიზიდავს. ქების ღირსია აგრეთვე ბ-ნი ჩ—ძე, რომლის მეთაურობით რამდენიმე ახალგაზდა ქალი ჰგალობდნენ წარსულს მარხვასა და კვირა უქმე დღეებში ღვთის მშობლის ეკკლესიაში და სულიერად გვატკბობდნენ. ეხლა-კი თავი მიანებეს, რაც დიდად სამწუხაროა, რადგან უფრო ამ ეკკლესიაში იყო საჭირო იმათი გალობა, აქ მდაბიო ხალხი იკრიბება და ლოცვა ქართულად სრულდება.

ამ რამდენისამე დღის წინად უხვად მოსულმა წვიმამ არგო ყურძნის მოსავალს, რომელსაც ეხლა კარგი პირი უჩანს.

## თავ. ნიკოლოოზ დიასამიძის მოკვლის ამბავი

თავ. ნ. დ. დიასამიძე 13 მარიამობისთვეს მარტო თურმე გაემგზავრა შარაბნით სად. გომში, სადაც იმ დღეს მისი უფროსი შვილი გრიგოლი უნდა ამოსულიყო. შინ თურმე ურჩევდნენ, თქვენ ნუ წაბრძანდებით, ბიჭი გავგზავნოთო, მაგრამ არა ჰქმნა. საღამოს 7 საათსა და 15 წამზედ მამა-შვილნი გომიდგან ბრილში წავიდნენ კაბრიოლეტით. საღამოს 9 საათი იქნებოდა, რომ დიასამიძენი სოფლის მახლობლად ბოგირს მიადგნენ; ცხენები უცბად შეფრთხნენ და უკან დაიწიეს. თავადმა ნიკომ გადასვლა დააპირა. შვილმა ურჩია თურმე,—მამა, ნუ გადახტები, ქვეიდგან მოუარეო. აქ რაღაცა ამბავი უნდა იყოსო, უთქვამს ნიკოს და გადამხტარა, მაგრამ ბოგირი აყრილი დაჰხვედრია. მაშინ შვილისათვის დაუძახნია, ბოგირი ვილასაც აუყრია და შვილსაც ჯაგებიდგან ვილასიც ჩურჩული თურმე მოესმა. გრიგოლს უთქვამს: მამა დავბრუნდეთო, მაგრამ ამის თქმა ვერ დაუთავებია, რომ ამ დროს თოფებს უგრიალიათ. ცხენები შეფრთხნენ თურმე და გრიგოლი გაიტაცეს. თითქმის ერთ ვერსამდე ათრიეს. ბოლოს საძნე ურემი შემოჰხვედროდა და გლეხებს შეეყენებინათ ცხენები. გრიგოლს მაშინვე ეთქვა, არიქათ, მამა მომიკლესო.

მაშინვე ყველანი უკან მიბრუნდნენ თურმე, მაგრამ ამასობაში საათნახევარმა გაიარა. თავ. ნიკო უკვე დაჭრილი და მთლად დაბეგვილი დაჰხვდათ 1½ საჟ. სიღრმე თხრილში. დაჭრილ ნიკოს, რომელსაც ორი ტყია მოჰხვედროდა: ერთი მკერდში და მეორე მკლავში, თავპირი ცემით დალურჯებული ჰქონდა. როგორც სჩანს, მკვლელებს იმ შიშით, რომ ვაი თუ სუბუქად იყოს დაჭრილიო, თავ-პირში უცემიათ კიდევ. დაჭრილს გრძნობა დაკარგული ჰქონდა. როდესაც აიყვანეს სოფელში, გონს მოვიდა და გარს შემოხვეული ხალხი დაინახა, რამდენჯერმე დაიძახა თურმე: „ნუ დამარჩობთო!“ სულ ნახევარი საათი-ღა იცოცხლა და სული დალია.

ახლა ამ საქმის შესახებ უკვე სასტიკი გამოძიება სწარმოებს. ერთი მისი ნაყმევი, იცნაშვილი, უკვე გამოტყდა, მე მოვკალიო.

მეთვალყურე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბელოთი**, (ცხინვალის საბოქაულო). ბელოთი მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობაზედ, ცხინვალიდგან 13—15 ვერსის მოშორებით. სოფელი გარს მთებით არის შემოფარგლული და გვერდით პატარა ლიახვი ჩაურბის. ბელოთი საბატონო მამულია, ეკუთვნის თავადთ ერისთავებსა და ალექსანდრე ორბელიანს. უწინდელს დროში ეს სოფელი ბატონიშვილების საცხოვრებელი ყოფილა, ეხლა კი მიტოვებულია და ისტორიულს ნაშთს წარმოადგენს. აქ უცხოვრია იულონ ბატონიშვილს, რომლის ციხეშიაც ყოფილა აგებული სამ-სართულიანი მშვენიერი სახლი და რომლიდგანაც ეხლა მარტო ნანგრევები-ღა არის დარჩენილი; შიგ გალავანში კარგა მოზრდილი ეკკლესია არის აგებული, სიგრძით 20 და სიგანით 9 არშინი. ეკკლესიაში მხატვრობა აღარ არის, კანკელზედ ხატები დამკვრებულია, მხოლოდ ერთი მაცხოვრის ხატი იზიდავს კაცის ყურადღებას, რომელიც მთლად ვერცხლისა არის და რომელსაც ხუცური წარწერა აქვს. საკურთხევლის წინ გვაჩვენეს ადგილი, სადაც დაკრძალულია იულონ ბატონიშვილი. საფლავი და საფლავის ქვა არა სჩანან. საფლავს ძირს დაუწევია და ზევიდგან აგური დაუგიათ, ასე რომ საფლავის ქვაც დაფარულა. ამ ეკკლესიას ხუთი წელიწადია მღვდელი არა ჰყოლია, როგორც ხალხმა და ახლად დანიშნულმა მღვდელმა გვიამბო; ამის გამო თვით ეკკლესია და იმისი გარემიდამო მალიან უყურადღებოდ არის დატოვებული. ეხლა-კი დაუნიშნავთ მღვდელი, მ. ოქროპირიძე, რომელიც, იმედია, ეკკლესიას სასურველს სისუფთავეს მიანიჭებს. ხალხი ხვნა-თესვას მისდევს. ვენახები არ არის; ამის ნაცვლად ყოველს კომლს აქვს თავისი ხილის ბაღი. აქაური მიწა მალიან გასხულია, ჯერ უზომო ხმარებით და მერე წვიმის ნაკადულებით, რომელნიც გაზაფხულობით მთებიდგან მედგრად მორბიან, მით უფრო, რომ მახლობელი მთა მთლად გაკაფულია და მარტო და ჯაგნარს წარმოადგენს.

ჩემს იქ ყოფნაში იქვე გასლდათ თავ. ალ. ორბელიანის მოურავი გ. რატიშვილი მიწების დასაზომად. გლეხებმა შესჩივლეს მოურავს, რომ გიორგი ამილახვარმა ტყე შეგვიკრა, ჩარნები ჩაგვიყენა და სულსა გვხუთავსო; საქონელი ვეღარ გაგვიტარებია, თხა-დამცხვარიო და შეშისათვის ვერ გავსულვართო; ამასთანავე ჩარნები თავისუფლად დანავარდობენ ჩვენს ნახნავებში და სიმინდი სულ ამოგვიგდესო. რატიშვილმა უთხრა, მაინც იქითკენ მივდივართ მიწის დასაზომად და ბარემ იქამდის მივიდეთ, სირონი (მიჯნა) გასინჯოთო. სირონის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ გ. ამილახვარს კარგა ტყე წაურთმევია ბელოთელებისათვი. და ახალი სირონი თითონვე გაუვლია საყარაულოში ჩარნები არ იყვნენ; იქვე ტყეში ყოფილიყვნენ. ის იყო უკანა ვბრუნდებოდით, რომ ამ დროს იჭექა ტყიდგან ზერდანკამ, იმას მოჰყვა მეორე-მესამე და ერთი გლეხი კაცი, რომელიც თან გვახლდა, დაეცა მძიმედ დაჭრილი. სროლამ 10 წუთი გასტანა. დაშავებულს კაცს მარჯვენა ხელი და ბარკალი მთლად გახვრეტილი აქვს. იმ წამსვე შეატყობინეს ცხინვალში პოლიციას, მაგრამ პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება და უნარი ვერ გამოიჩინა; ჩარნები დღესაც თავისუფლად დადიან იმის მაგივრად, რომ საპყრობილეში ისხდნენ. განა იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ უარესს იზმენ, მეტადრე მაშინ, როდესაც პოლიცია ასე გულგრილად ეკიდება თავისს მოვალეობას?

ან ეს ზერდანკების ხმარება ნეტა მათთვის რა საჭიროა?! თუ აღკრძალულია, ყველასათვის აღკრძალული უნდა იყოს, თორემ გ. ამილახვარსა და მისს ჩარნებს რა უპირატესობა უნდა ჰქონდეთ. რა ჰქნას საწყალმა გლეხმა, ერთის მტკაველა სახრით როგორ უნდა გაუმკლავდეს ზერდანკებით შეიარაღებულს და თავზედ ხელ აღებულს ხალხს. ვგონებ, ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ეს შემთხვევა პირველი და უკანასკნელი არ იქნება.

გ. საყვარელიძე

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში წამოსვლის დღეს პარიზში აფეთქება მოახდინეს. პარიჟის პოლიცია ეხლა გაცხარებული დაეძებს ამ საქმის ჩამდენთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაუგია. განსაკუთრებით პოლიციამ პარიჟში მცხოვრებელ უცხო-ქვეყნელთ მიაქცია თავისი ყურადღება და ისე დღე არ გაივლის, რომ რომელსამე უცხოქვეყნელის სახლი არ გაჩხრიკონ. გაზ. „Neve Freie Presse“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიჟიდგან: „ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ყუმბარა ლურსმებითა და რკინის ნატეხებით იყო გატენილი. ფარდულის გვერდზედ დაედოთ, სადაც ერთი ქალი ყვავილებსა ჰყიდის ხოლმე. აფეთქების დღეს ფარდულში არც ყვავილები და არც ყვავილების გამსყიდველი ქალი არ იყო. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ ბოროტ-გამძრახველმა ყუმბარა შეუმჩნევლად დასდო. ყუმბარა სწორედ იმ ადგილზედ იდო, სადაც ფელიქს ფორს უნდა გაევლო. სწორედ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ აფეთქებისაგან არავინ დაშავდა. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ეს საქმე ანარქისტების ნამოქმედარიაო“.

—

**გერმანია.** კანავასის სიკვდილის შემდეგ ისპანიის მთავრობამ სასტიკი ღონისძიებანი მიიღო ანარქისტების წინაალმდეგ და ევროპასაც კი მიჰმართა, რომ ყველა სახელმწიფოებმა კავშირი შეჰკრან და ერთად გაუმკლავდნენ ამ ბოროტებას. ეხლა, როგორც გაზ. „Memor. diplom.“ იუწყება, გერმანიის იმპერატორმაც მიაქცია თურმე ყურადღება ანარქისტებს და წინადადება მისცა ევროპის სახელმწიფოებს, რომ საერთა შორისო პოლიცია იქმნას შემდგარი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ანარქისტებს და დროზედ შეაყენებს მათს განზრახულებას. იმპერატორს იმედი აქვს, რომ იმის პროექტს უმეტესობა მიემხრობაო.

—

**ინდოეთი და ავღანისტანი.** ამ ბოლოს დროს დეპეშას თითქმის ყოველ-დღე მოაქვს ინდოეთიდგან სხვა-და-სხვა ამბოხებისა და თავ-დასხმის ამბავი. ინგლისმა დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მრავალს ჯარს მოუყარა თავი ინდოეთ-ავღანის საზღვარზედ. აქამდის, და თითქმის ეხლაც, ინდოეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ყოვლისავე ამ საქმის ჩამდენი ავღანის ემირია, რომელიც ძალად აჯანყებს ინდოეთის ქვეშევრდომ სხვა-და-სხვა ტომის ხალხს და თავის კაცებსაც აშველებსო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმთავრესი ამჯანყებელი და ხალხის წინამძღოლი მოლლა-ხადდა ყოფილა, რომელსაც ბაიარსა და უთმანხელში დიდი სახელი აქვს გავარდნილი და რომლის სიტყვასაც ყველანი დაუყონებლივ ასრულებენ. თვით მოლლა ავღანის სამფლობელოში სცხოვრობს და დიდი კავშირი აქვს ემირის გენერალ გოლამ-ხაიდერ-ხანთან, რომელიც აღმოსავლეთ ავღანისტანში ჯარის წინამძღოლია. მოლას პროკლამაციებს ყველა ტომის ხალხი დიდის აღტაცებითა კითხულობს და ყველანი მზად არიან მოლლას გულისთვის ცეცხლშიაც-კი გადავარდნენ. ოსმალების გამარჯვებამ დიდ აღტაცებაში მოიყვანა როგორც ავღანელები, აგრეთვე სხვა ტომის მაჰმადიანნი. იმათის აზრით, ის დრო დადგა, როდესაც ქვეყანაზედ მაჰმადიანნი უნდა გაბატონდნენო.

## დამაკვირდი

სიკვდილი რომ არ იყოს, სიცოცხლეს ფასი არ ექმნებოდა და მეტად მოგვაბეზრებდა თავს.

* * *

არავინ არის ვალდებული ის გააკეთოს, რაც არ შეუძლიან.

ლათინური ანდაზა

* * *

ჭეშმარიტებას იმდენი სიკეთე არ მოაქვს, რამდენს ბოროტსაცა სთესს მისი მოჩვენებული ლანდი.

ლაროშფუკო

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მეცნიერების დაკვირვებამა და გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ ცხოველებს ლოთობა ძლიერ ჰყვარებიათ. მიუნსტერის ერთს მუზეიში ერთი მაიმუნი არის თურმე, სახელად ლემონი, რომელიც დიდი ლოთი ყოფილა. რაც უნდა დიდი ჭურჭელი მააწოდოს კაცმა ლუდით სავსე, დაეწაფება და მანამ არ გამოსცლის, პირიდგან არ მოიშორებს. ამ მაიმუნს არაყიც ძლიერ უყვარს თურმე. ლოთი ძაღლი ბევრი მოიძებნებაო, ამბობენ, მაგრამ ცხენებს-კი უფრო ჰყვარებიათ ლოთობა. გერმანიაში ხშირად შეხვდებით, რომ ცხენს ლუდს ასმევენ. ღვინის და ლუდის სმა ჰყვარებიათ აგრეთვე ქათმებსა, ბატებს და იხვებს. ბუზები თურმე ხომ სულ ლოთები ყოფილან.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი ერთი ორად ქცეულა შემდეგ ქალაქებში: ამსტერდამსა, ბირმინგამსა, ბრიუსელსა, მანჩესტერსა და რომში. ერთი სამად ქცეულა: კოპენჰაგენსა და მარსელში; ერთი ოთხად—პრაგასა, ლიონსა, პეტერბურგსა, პარიჟსა და ლონდონში; ერთი ხუთად—დრეზდენსა, კელნსა, ბრესლავსა, ჰამბურგსა და ვენაში; ერთი ექვსად—ლიდსსა, ლივერპულსა და ვარშავაში; ერთი შვიდად—მიუნჰენში; ერთი ცხრად—ლეიპციგსა, ბუდა-პეშტსა და ბერლინში; ერთი ათად—ბალტიმორაში. ნიუ-იორკში და ფილადელფიაში ამ ჟამად ერთი ოცდა ხუთად მეტი მცხოვრებია, ვიდრე ამ საუკუნის დასაწყისში იყო. ჩიკაგოში მცხოვრებთა რიცხვმა ორას-ორმოც-და-ხუთად იმატა. ბრუკლინში ეხლა 339 ჯერ მეტია მცხოვრებთა რიცხვი, ვიდრე 1800 წელს იყო.

* * *

მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე ევროპაში ქოლგის ხსენებაც არა ყოფილა; ჩინეთსა და იაპონიაში ძველადვე ხმარობდნენ ქოლგას. ერთი ინგლისელი ჯონ გონვეი ჩინეთში ყოფილა, იქიდგან მოიტანა ქოლგა

და წვიმიან დღეს ამ ქოლგით გამოვიდა ქუჩაში. ამ მცირე და უმნიშვნელო ამბავმა მთელი ლონდონი ააყაყანა. გონვეი გიჟი ეგონათ ყველას. ქუჩის ბიჭები სიცილითა და ყვირილით დასდევდნენ უკან. მაგრამ ინგლისელები მალე დარწმუნდნენ, ქოლგა ძლიერ გამოსადეგი რამ არის წვიმაშიო და პირველ ხანს ქარხნები გაკეთებას ვერ ასწრობდნენ. ინგლისელებისაგან ქოლგის ხმარება ფრანგებმა შემოიღეს და მერე სხვა ქვეყნებმაც.

***

მთელი წელიწადია, რაც ერთმა მკურნალმა დ.ამტკიცა, რომ კუზიანების გასწორება შეიძლებაო და რამდენსამე ბავშვს კიდეც გაუსწორა კუზი საფრანგეთში. რუსეთში აქამდე მარტო ერთს ბავშვს გაუსწორეს კუზი პეტერბურგში. ეხლა გაზეთები სწერენ, რომ კიევში, ებრაელთა სამკურნალოში ორს ადამიანს გაუსწორეს კუზიო. 20 ივლისს გაუსწორეს კუზი ერთის ებრაელის ხელოსნის ვაჟიშვილს, 7 წლისას და 24 ივლისს ერთს ებრაელს ქალს 29 წლისას.

ჩვენს გაზეთში უკვე ერთხელ მოხსენებული იყო, როგორ ასწორებენ კუზიანებს. ეხლა მხოლოდ იმას მოვაგონებთ მკითხველთ, რომ კუზის გასწორების უმალვე ადამიანს გიპსის იახოს დააკრავენ, ვიდრე სრულიად არ გასწორდება. ასე მოექცნენ იმ ყმაწვილსა და ქალს: დააძინეს ბანგით, გაუსწორეს კუზი და მერე გიპსის იახო დააკრეს. ამ იახოს ორის თვის შემდეგ მოხსნიან და კორსეტს ჩააცმევენ. ყმაწვილის კუზის გასწორება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე 29 წლის ქალისა.

## ახალი წიგნი

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება ეგ. ნინოშვილის უკანასკნელი თხზულება „პარტახი“. წიგნი გამოცემულია „ახალის მკითხველის“ მიერ, სუფთადაა დაბეჭდილი და ღირს ერთი აბაზი. ეგ. ნინოშვილს ჩვენს ახალგაზდა ბელეტრისტებში პირველი ადგილი უჭირავს და მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება შავად დარჩა ავტორს და ულმობელმა სიკვდილმა არ აცალა გაესწორებგაეშალაშინებინა იგი, მაინც ეტყობა, რომ ნიჭიერის ხელითაა დაწერილი და წასაკითხად მეტად საინტერესო და საგულისხმოა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 აგვისტო

**სიმლა.** ალი-მუშიდის ციხე აფრიდიებმა დასწვეს. გამოცხადდა, რომ ერთის გარნიზონიდგან, რომელიც აფრიდიებისაგან შესდგებოდა, 9 კაცი გაიქცა; რა იქმნა დანარჩენები, ჯერ არავინ იცის. ის ამბავი, რომ 300 სიპაი მოკლულიაო, არაფრით მტკიცდება.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ ორმა სომეხმა ქალმა, რომელთა შორის ერთი რუსეთის ქვეშევრდომია, რუსეთისა და საფრანგეთის საელჩოში მიიტანეს წერილები „ხინჩაკის“ კომიტეტისაგან. ქალები იქვე შეიპყრეს. წერილებში სწერია, რომ ის მოხსენება, რომელიც ეხლახან მიუვიდა საელჩოებს, ყალბი არისო და არავითარი ფედერაცია არ არსებობსო; „ხინჩაკს“ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ამ ბოლოს დროს მომხდარ ბოროტ-განზრახვაში და განზრახვა აქვს მოიცადოს შემოღებულ იქმნება თუ არა დაპირებული რეფორმები.

ის ამბავი, რომ განზრახვა ჰქონიათ ბოროტ-მოქმედებისა რუსეთისა და გერმანიის საელჩოს წინააღმდეგ, მართალი არ გამოდგა.

**პეტერბურგი.** 13 აგვისტოს, დილით, შემდეგი წერილი მოუვიდა ადმირალის ჟერვესაგან ვ. ვ. კომაროვს, იმ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც რუსეთის ჟურნალ-გაზეთების სახელით დღესასწაულებსა ჰმართავს პრეზიდენტის ფორის მოსვლისა გამო: „პეტერგოფი, 24 აგვისტოს 1897 წელს. მოწყალეო ხელმწიფევ! დიდადა ვნანობ, რომ გუშინდელს კრებას ვერ დავესწარი. მე ისეთს მნიშვნელობას ვაწერდი თქვენს მიწვევას, რომ ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა რამდენად ძვირფასი იყო ჩემთვის ერთიცა და მეორეც და კვლავ გთხოვთ გადასცეთ რუსეთის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ რამდენად მასიამოვნა იმ სურვილმა, რომ მეც ვყოფილიყავ მათ შორის. ამ სიტყვებს წრფელის გულითა გწერთ და უფრო მეტსაც მოგახსენებთ: მე ძლიერ მიყვარს რუსეთი, მისკენ მიზიდავს მე ჩემი გული, მასთან მაკავშირებს ძვირფასი მოგონება წარსულის სიხარულისა და მწუხარებისა, რომელსაც ჟამთა ვითარება აძლიერებს და განამტკიცებს. დარწმუნებულნი იყავით, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემს თქვენდამი პატივცემასა და მადლობაში. თქვენი ერთგული ვ. ჟერვე.

ღია წერილი „კრაის“ რედაქტორისა პეტერბურგში მყოფ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა მიმართ: „იმ აღტაცებულ სიხარულში, რომლითაც გამოაცილა საფრანგეთმა თვისი პრეზიდენტი, სამართლიანად სრულიად არ გამოჩნდა უგუნური საქციელი უგუნურის კაცისა, რომელმაც ამაოდ გაიხსენია პოლონიის სახელი. თუ ეს ამბავი გავიხსენე, მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ მე პოლონელი ჟურნალისტი ვარ და მსურს დავარწმუნო უწინდელი ჩემი თანა მემამულენი (?), რომ იმ უგუნურსა და სასაცილო საქციელს საერთო არაფერი აქვს ჩვენს გრძნობასთან. რა მოსაზრება უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთრუსეთის კავშირსნდობით არ ვუყურებდეთ? რას მოვიგებდით, რომ ვინიცობაა ეს კავშირი შესუსტდეს ან სრულიად მოისპოს? რა თქმა უნდა,— არაფერს. პირიქით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს კავშირი საკეთილდღეოდ შესცვლის სლავიანების ყველა ტომთა ბედ-იღბალს. ჯერ იმის წინად, ვიდრე ეს კავშირი შეიკვრებოდა, სლავიანებსა და ფრანგებს ერთი რამ აერთებდა—სიძულვილი, რომელსაც გრძნობდა ყველა იმის სახელის გაგონებაზედ, რომელიც ამბობს: „ძალა ბატონობს უფლებაზეო“, არა, საფრანგეთიდგან არ მოველით ცუდის მოქმედების სურვილს. საფრანგეთს არავითარი სარგებლობა არ ექმნება, რომ სლავიანთა შორის უნდობლობა და მტრობა დასთესოს. პირიქით, საფრანგეთისათვის სასარგებლო იქმნება სლავიანების ტომთა შორის მეგობრობის გაძლიერება. საფრანგეთისა და „რუსეთის შორის მეგობრობა არავის არ ემუქრება ევროპაში და პირიქით ყველას ჰპირდება მშვიდობიანობასა და სამართლიანობას, ამიტომ ჩვენც ვესალმებით ამ მეგობრობას. პოლონელებს მხოლოდ უნდათ, რომ საფრანგეთის მიერ მეგობარ სახელმწიფოსთვის მზითვად მოტანილმა საუკეთესო გრძნობამ გაიმარჯვოს, რომელმაც შეჰქმნა ამ სახელმწიფოს სიდიადე და სახელი,—სახელდობრ სიყვარული ქვეყნისა და პროგრესისა:

15 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 14 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა, პრეზიდენტი, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი, დილის 11 საათზედ, გემით „ალექსანდრიათი“ პეტერგოფიდგან კრონშტადტის ნავთსადგურში მივიდნენ, სადაც საფრანგეთის ესკადრა ინახულეს. აქვე „პოტიუის“ გემზედ საუზმე იქმნა გამართული. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი პრეზიდენტსა და დანარჩენს ფრანგ სტუმრებს გამოეთხოვნენ. სიმაგრიდგანა, საზღვაო ციხეებიდგანა და სამხედრო გემებიდგან ზარბაზნების ხმა გაისმა. საფრანგეთის ესკადრა ზღვაში შევიდა. მათნი უდიდებულესობანი გემით „ალექსანდრიათი“ პეტერგოფს დაბრუნდნენ.

საუზმის დროს, რომელიც „პოტიუის“ გემზედ იქმნა გამართული, პრეზიდენტმა მათს უდიდებულესობას შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

„ვმადლობ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობასა და აგრეთვე მისს უდიდებულესობას ხელმწიფა იმპერატრიცას, რომ ესოდენ უმოწყალესად ინებეთ და საფრანგეთის ფლოტის ხომალდი ინახულეთ. მით უფრო ბედნიერი ვარ, რომ ეს გარემოება ნებას მაძლევს ჩვენთა დროშათა ქვეშ განვუცხადო თქვენს უდიდებულესობას, თუ რამდენად აღტაცებული ვარ თქვენის უდიდებულესობის მასპინძლობით და რამდენად მადლობელნი ვართ რუსეთის ერისა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ესრედ საუცხოვოდ დაუხვდა. თქვენმა უდიდებულესობამ რუსეთისა და საფრანგეთის ზღვაოსნებთან ერთად ინება საფრანგეთს მობრძანება; აწ მეც მათ შორის, აღტაცებული, რუსეთს ვუძღვნი გამოსათხოვარს სალამს. საფრანგეთისა და რუსეთის ფლოტს შეუძლიანთ იამაყონ, რომ პირველის დღიდგანვე იმ დიდ თავგადასავალში მიიღეს მონაწილეობა, რომლითაც საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრობა დაიწყო; მათ დააახლოვეს ორთავ მხრიდგან გაწვდილი ხელი და ორს მეგობარს და მოკავშირე ერს, რომელნიც ცივილიზაციისა, კანონიერობისა და სიმართლის იდეალით ხელმძღვანელობენ, შეაძლებინეს წრფელისა და წმინდის ფულით შეერთებულიყვნენ, ერთმანეთს ძმებივით გადაჰხვეოდნენ. თქვენის უდიდებულესობისა და ხელმწიფა იმპერატრიცას სადღეგძელოდ ხელთ ვიღებ ჭიქას გამოთხოვების წამს და გთხოვთ მიიღოთ ჩემი მხურვალე სურვილი ბედნიერებისა თქვენის უდიდებულესობისა და მთელის სამეფო ოჯახის მიმართ. საფრანგეთის სახელით ვსვამ სადღეგძელოს რუსეთის სადიდებლად“.

ხელმწიფემ უპასუხა:

„სიტყვები, რომლითაც თქვენ მე მომმართეთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემს გულში მხურვალე თანაგრძნობას ჰპოვებენ და სრულიად ეთანხმებიან იმ გრძნობათ, რომელნიც მე და ჩემთან ერთად მთელს რუსეთს გვამხნევებენ. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ჩვენ შორის ყოფნა ჩვენ მეგობარ და მოკავშირე ერთა შორის ახალს კავშირსა ჰბადებს, რომ მთელის ჩვენის ძალით ერთნაირად ხელი შევუწყოთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას, რომელიც კანონიერობასა და სიმართლეზეა დამყარებული. ნება მომეცით, ბატონო პრეზიდენტო, მადლობა გადაგიხადოთ მოსვლისა და ნახვისათვის და თქვენ სადღეგრძელოდა და საფრანგეთის ასაყვავებლად ჭიქა გამოვცალო“.

**მოსკოვი.** 14 აგვისტოს დიდს თეატრში სამკურნალო კრების უკანასკნელი სხდომა იყო. სკლიფაროვსკის წინადადების თანახმად, თავმჯდომარეთ ინგლისელი დეპუტატი მაკ კერმაკი იყო. კონგრესი დასრულდა.

**სიმლა.** ქაბულში მყოფი ინგლისელი აგენტი იუწყება, რომ მრავალ რიცხვოვანს ყრილობას ემირმა ვიცეკოროლის წერილი წაუკითხა, რომლითაც სთხოვს იგი თავისს ქვეშევრდომებს, არეულობაში მონაწილეობა არ მიიღონ. წერილის წაკითხვის შემდეგ ემირმა დაიფიცა, რომ ინგლისის მთავრობასთან მეგობრულს დამოკიდებულებას ხელს ვუწყობო და აქვე აუწყა საპასუხო წერილის პროექტი.

**ლიონი.** გაზეთებმა საღამოზედ ცალკე გამოცემა დაარიგეს „პოტიუიოზედ“ წარმოთქმულ სადღეგრძელოების ხალხში გასავრცელებლად. მრავალი სახლი გაჩირაღდნებული იყო.

**სიმლა.** აფრიდნი ლუნდი-კოტალს თავს დაესხნენ და სასწვეს.

**სიმლა.** ხაიბარადგან იუწყებიან, რომ ლუნდი-კოტალში მდგომმა მსროლელმა ჯარმა 24 საათს გაუძლო მტერს. როდესაც აფრიდნი ლუნდი-კოტალში შევიდნენ, ბრძოლამ ორ საათს კიდევ გასტანაო.

16 აგვისტო.

**პოლტავა.** დაიწვა თეატრი და 5 თვალი საწყრიმლის სავაჭრო. ზარალი 100,000 მანეთია.

**კოპენჰაგენი.** მემკვიდრე პრინცის ინგებორგის ასულისა და შვეციის მეფის შვილის, პრინცის კარლოსის ქორწინება დღეს მოხდა. ქორწინებას ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დანიისა და შვეციის სამეფო ოჯახობა და უელის პრინცესა დაესწრნენ.

**კონსტანტინოპოლი.** რადგანაც ინგლისის წინადადების შესახებ წინააღმდეგობა განაცხადეს, სალისბურმა ახალი წინადება წარადგინა. წინადადებაში ნათქვამია, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა თავდებობა გაუწიონ საბერძნეთს. აღნიშნულ სახელმწიფოთ უნდა უზრუნველ-ჰყონ სესხი სამხედრო საზღაურისა, თუ რომ მიღებულ იქმნება, რომ სესხის გადასახდელად დანიშნულს შემოსავალზედ ამ სახელმწიფოებმა იქონიონ კანტროლი. შეიძლება დანარჩენნი სახელმწიფონიც იქმნან მოწვეულნი მონაწილეობის მისაღებად.

**სიმლა.** მთავრობამ დაადგინა აფრიდთა ტომის წინააღმდეგ ძლიერი ექსპედიცია გაჰგზავნოს.

იუწყებიან, ბონერვალნი შეშინებულნი არიან, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მათს ადგილზედ ინგლისელმა ჯარებმა გაიარესო. ამის გამო ახლა საბრძოლად ემზადებიან, ვაი თუ ინგლისელები თავს დაგვესხნენო.


# განცხადებანი

## სასწავლებელი და პანსიონი

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერსტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პანსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30.

(10—157—1)

## სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუჩარიანცს, ტფილისს.

(24—127—19)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Августа 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.